# საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01-02/157

ქ. ბათუმი

20 სექტემბერი 2021 წელი

**ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში მყოფი აპლიკანტებისათვის ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხვის მიზნით ახალი საგამოცდო განრიგის და კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2020 წლის 7 თებერვლის N19, 2020 წლის 31 ივლისის MES 1200000649005 და 2020 წლის 31 ივლისის MES 0200000649004 გადაწყვეტილებების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის MES 6 21 0000673778 ბრძანების, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების,** „უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, 2021 წლის ტესტირებაზე დარეგისტრირებული იმ პირის მიერ, რომელიც ტესტირებისთვის დადგენილ ვადაში ვერ გამოცხადდა ტესტირებაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, ტესტირებიდან გათავისუფლების თაობაზე, დასაბუთებული განცხადებით მიმართვის ვადის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2021 წლის 03 სექტემბრის №857897 ბრძანებაში** ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2021 წლის 09 სექტემბრის №000088041 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების (ცვლილება და დამატება - ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ივლისის №01-02/103 ბრძანებით), „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 16 ივლისის №01-02/115 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 12 ივლისის N01-02/109 ბრძანების,** „ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების ადგილის, თარიღის/თარიღების, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2021 წლის 30 აგვისტოს №01-02/139 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2021 წლის 15 სექტემბრის №921456 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

*ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:*

1. ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხვის მიზნით დარეგისტრირებული იმ აპლიკანტებისათვის, რომლებიც ბსუ-ს რექტორის **2021 წლის 30 აგვისტოს №01-02/139 ბრძანებით** დადგენილ ვადაში ვერ გამოცხადნენ გამოცდაზე საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში, საკარანტინო ზონაში ან სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) დამტკიცდეს **ახალი საგამოცდო განრიგი** (აპლიკანტთა შეფასების ადგილი, თარიღი) **№1 დანართის** შესაბამისად;

ბ) გამოცდაზე მონაწილეობის მისაღებად დაშვებული იქნეს ის აპლიკანტები, რომლებიც 2021 წლის 21 სექტემბერს მომართავენ ბსუ-ს რექტორს დასაბუთებული განცხადებით (უნდა შეივსოს განცხადების თანდართული ფორმა - **N2 დანართი);**

**გ)** საპრეტენზიო განცხადებების (აპელაცია) მიღება მოხდეს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, $10^{00}$ დან $16^{00}$ მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

**დ)** საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხი მომზადდეს საპრეტენზიო განაცხადის შემოსვლიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში და ეცნობოს აპლიკანტს (აპლიკანტის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე);

ე) გამოცდებზე დასასწრებად აპლიკანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი (დაგვიანებული კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება);

ვ) აპლიკანტთა შეფასების და შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით შეიქმნას **საგამოცდო და სააპელაციო კომისიები N3 დანართის** შესაბამისად.

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

*რექტორი, პროფესორი* *მერაბ ხალვაში*

ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში მყოფი აპლიკანტებისათვის ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხვის მიზნით ახალი საგამოცდო განრიგის და კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის №01-02/153 ბრძანების

*დანართი №1*

## ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში მყოფი აპლიკანტებისათვის ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხვის მიზნით ახალი საგამოცდო განრიგი

| № | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | აპლიკანტის შეფასების ფორმატი | შეფასების თარიღი და დრო | შეფასების ადგილი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მებაღეობა (IV დონე) | პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი | 22.09.2021 11:00 სთ | ბათუმი, ლეონიძის ქუჩა №15, მეორე სართული, აუდიტორია №201 | |
| 2. | მეფუტკრეობა (III დონე) | პრაქტიკული სამუშაო შემთხვევების ანალიზი | 22.09.2021 12:00 სთ | ბათუმი, ლეონიძის ქუჩა №15, მეორე სართული, აუდიტორია №201 | |
| 3. | საფინანსო სერვისები (III დონე) | მოტივაციური გასაუბრება | 23.09.2021 10:00 საათი | დისტანციურად (Zoom პლატფორმა) | |
| 4. | სატყეო საქმე (IV დონე) | მოტივაციური გასაუბრება | 23.09.2021 10:00 საათი | დისტანციურად (Zoom პლატფორმა) | |
| 5. | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (III დონე) | მოტივაციური გასაუბრება | 23.09.2021 10:00 საათი | დისტანციურად (Zoom პლატფორმა) | |

ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში მყოფი აპლიკანტებისათვის ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხვის მიზნით ახალი საგამოცდო განრიგის და კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის №01-02/157 ბრძანების

*დანართი №2*

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს

________________________________________

(აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი)

________________________________________

დავრეგისტრირდი **საჯარო სამართლის იურიდიული პირის** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ________________________________.

ბსუ-ს რექტორის **2021 წლის 30 აგვისტოს №01-02/139 ბრძანებით** დადგენილ ვადაში ვერ გამოვცხადდი გამოცდაზე ________________________________________

__________________________________________________________*გამო.*

*(გთხოვთ, მიუთითოთ მიზეზი)*

**ინფორმაციის სახით წარმოგიდგენთ დეტალურ მონაცემებს:**

*კოვიდ - ინფიცირებულის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია:*

__________________________________________________________

*COVID-19 დადასტურების თარიღი:* ________________________________

კონტაქტში მყოფი პირის თვითიზოლაციის პერიოდი: ____________________

გთხოვთ, დამიშვათ ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო საპატიოდ ჩამითვალოთ გამოუცხადებლობა და მომცეთ საშუალება ჩავაბარო გამოცდაზე.

დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

**პატივისცემით,**

ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის დადასტურების გამო სამკურნალო დაწესებულებაში/იზოლაციაში მყოფი აპლიკანტებისათვის ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხვის მიზნით ახალი საგამოცდო განრიგის და კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 20 სექტემბრის №01-02/157 ბრძანების

*დანართი №3*

*საგამოცდო კომისიები*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:*

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„საფინანსო სერვისები"

**მადონა მიქელაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
**ნანა მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, წევრი;
**ჯილდა აბაშიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები" ხელმძღვანელი;
**მანანა ბერიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები" განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
**თინათინ ბერიძე** - დამსაქმებელი/ბსუ-ს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი (თი ბი სი ბანკის SME სესხების ექსპერტი)

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"

**მადონა მიქელაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
**ნანა მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, წევრი;
**გულადი ფარტენაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ხელმძღვანელი;
**ნარგიზ მეგენეიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
**არჩილ ბუქიძე** - დამსაქმებელი/შპს „საბატას" IT მენეჯერი

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„სატყეო საქმე“

**მადონა მიქელაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
**ნანა მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, წევრი;
**ლამზირა გორგილაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ ხელმძღვანელი;
**რეზო ვასაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
**ჯუმბერ აბულაძე** - დამსაქმებელი/სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„მებაღეობა“

**მადონა მიქელაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
**ნანა მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, წევრი;
**ლეილა ებრალიძე** - ბსუ-სპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ ხელმძღვანელი;
**ნინო მემიაძე** - ბსუ-სპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
**მამუკა თურმანიძე** - დამსაქმებელი/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, USAID-ის „სოფლის მეურნეობის პროგრამის“ ექსპერტი სასათბურე მეურნეობებისა და ღია გრუნტის მებოსტნეობის საკითხებში.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„მეფუტკრეობა“

**მადონა მიქელაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
**ნანა მაკარაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, წევრი;
**მანანა ბოლქვაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ხელმძღვანელი;
**ომარი ნაკაშიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი

**გიორგი ბერუჩაშვილი** - დამსაქმებელი/აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს-ასოციაციის წევრი

## სააპელაციო კომისიის შემადგენლობა:

**თამარ სირაძე** - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;
**მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
**დავით ხარაზიშვილი** - დამსაქმებელი/ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე;
**ალეკო პაპავა** - დამსაქმებელი/საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი (GBU);
**რუსლან დავითაძე** - დამსაქმებელი/აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მონიტორინგის სამსახურის უფროსი.